

განმარტებითი ბარათი

„პოლიციის შესახებ“ საქართველოს კანონში დამატების
შეტანის თაობაზე“ წარმოდგენილი კანონპროექტის თაობაზე

ა) ზოგადი ინფორმაცია კანონპროექტის შესახებ

ა.ა) კანონპროექტების მიღების მიზეზი:

კანონპროექტის მიღების მიზეზებია:

1) უძრავ ნივთზე საკუთრების უფლების ხელყოფის აღკვეთის ღონისძიებების განხორციელების პროცესში გამოვლენილი ხარვეზები, რაც მნიშვნელოვნად აფერხებს აღნიშნული ღონისძიებების შეუფერხებლად განხორციელებას;

2) კანონში არსებული ტექნიკური ხარვეზები, რომელიც უკავშირდება პოლიციაში წვევამდელთა მიღებას, უმცროსი ლეიტენანტის სპეციალური წოდების მინიჭებას და შესაბამისი სპეციალური პროგრამების გავლას;

3) მე-20 მუხლის მე-5 პუნქტის „ბ“ ქვეპუნქტში მოცემული შესაბამისი ჩანაწერი, რომელიც პოლიციაში სამუშაოდ მიღების დროს აწესებს გარკვეულ შეზღუდვებს „შიდსით“ დაავადებული პირების მიმართ. წინამდებარე ჩანაწერი არღვევს აღნიშნულ პირთა უფლებებს;

4) კანონში პოლიციელთა წახალისების ისეთი სახეების არარსებობა, რომელიც აუცილებელია მათი საქმიანობის სტიმულირებისთვის და სამსახურეობრივ მოვალეობათა სანიმუშოდ შესრულებისთვის.

ა.ბ) კანონპროექტის მიღების მიზანი:

კანონპროექტის მიღების მიზანია უძრავ ნივთზე საკუთრების უფლების ყელყოფის აღკვეთის ღონისძიებების შეუფერხებლად განხორციელება და პოლიციისთვის კანონით დაკისრებული მოვალეობის ჯეროვნად შესრულება, პოლიციაში სამუშაოზე მიღების წესების დახვეწა, კანონით დადგენილი წახალისების სახეების ჩამონათვალის გაფართოვება და კანონში არსებული ტექნიკური სახის ხარვეზების გამოსწორება.

ა.გ) კანონპროექტის ძირითადი არსი:

კანონპროექტის არსი მდგომარეობს შემდეგში:

1) კანონში მკაფიოდ იქნება განსაზღვრული, რომ პოლიციაში სამუშაოზე შეიძლება იქნენ მიღებულნი 18-დან 35 წლამდე საქართველოს მოქალაქეები. პოლიციაში სამუშაოდ მიღებული ან მისაღები წვევამდები გაივლიან სპეციალური მომზადების პროგრამას;

2) პოლიციაში სამუშაოდ მისაღებ პირებს და პოლიციის უმცროსი სპეციალური წოდების მქონე პოლიციელებს პოლიციის უმცროსი ლეიტენანტის სპეციალური წოდება მიენიჭებათ შესაბამის თანამდებობაზე დანიშნისას. უმცროსი ლეიტენანტის სპეციალური წოდება აღნიშნულ პირებს მიენიჭებათ სპეციალური მომზადების პროგრამის გავლის საფუძველზე;

3) პოლიციაში სამუშაოდ მიღების აკრძალვა არ გავრცელდება „შიდსით“ დაავადებული პირების მიმართ;

4) კანონს ემატება წახალისების ახალი სახეები, კერძოდ:

- ფულადი პრემია;
- სამინისტროს სიგელით დაჯილდოვება;
- სამინისტროს მედალიონით დაჯილდოვება;
- სამინისტროს მედლით დაჯილდოვება;
- სამოქალაქო ან სამსახურებრივ-საშტატო იარაღით დაჯილდოვება;

წახალისების სახეების გამოყენება (გარდა „თ“ და „ი“ ქვეპუნქტებით გათვალისწინებულისა) დასაშვებია იქნება იმ პირების მიმართ, რომლებიც განსაკუთრებულ დახმარებას გაუწევენ პოლიცია;

5) პოლიციის უფლებამოსილი პირის მიერ სავარაუდო ხელმოფისთვის მიცემული წერილობითი გაფრთხილების ადმინისტრაციული წესით გასაჩივრება არ აჩერებს უძრავ ნივთზე საკუთრების უფლების ხელყოფის აღკვეთის ღონისძიებების განხორციელებას.

ბ) კანონპროექტის ფინანსური დასაბუთება

ბ.ა) კანონპროექტის მიღებასთან დაკავშირებით აუცილებელი ხარჯების დაფინანსების წყარო:

კანონპროექტი არ ახდენს გავლენას ბიუჯეტის ხარჯვით ნაწილზე.

ბ.ბ) კანონპროექტის გავლენა ბიუჯეტის საშემოსავლო ნაწილზე:

კანონპროექტის მიღება არ ახდენს გავლენას სახელმწიფო ბიუჯეტის საშემოსავლო ნაწილზე.

ბ.გ) კანონპროექტის გავლენა ბიუჯეტის ხარჯვით ნაწილზე:

კანონპროექტის მიღება არ ახდენს გავლენას სახელმწიფო ბიუჯეტის ხარჯვით ნაწილზე.

ბ.დ) სახელმწიფოს ახალი ფინანსური ვალდებულებები:

კანონპროექტის თანახმად სახელმწიფოს ახალი ფინანსური ვალდებულებები არ ეკისრება.

ბ.ე) კანონპროექტის მოსალოდნელი ფინანსური შედეგები იმ პირთათვის, რომელთა მიმართაც ვრცელდება კანონპროექტის მოქმედება:

კანონპროექტის მიღება არ მოახდენს ფინანსურ გავლენას იმ პირებზე, რომლებზედაც ვრცელდება ეს კანონპროექტი.

ბ.ვ) კანონპროექტით დადგენილი გადასახადის, მოსაკრებლის ან სხვა სახის გადასახდელის ოდენობის განსაზღვრის წესი (პრინციპი);

კანონპროექტი არ ადგენს რაიმე ახალ გადასახადს, მოსაკრებელს ან სხვა სახის გადასახდელს.

გ) კანონპროექტის მიმართება საერთაშორისო სამართლებრივ სტანდარტებთან:

გ.ა) კანონპროექტის მიმართება ევროკავშირის დირექტივებთან;

კანონპროექტის მიღება არ ეწინააღმდეგება ევროკავშირის დირექტივებს;

- ფულადი პრემია;
 - სამინისტროს სიგელით დაჯილდოვება;
 - სამინისტროს მედალიონით დაჯილდოვება;
 - სამინისტროს მედლით დაჯილდოვება;
 - სამოქალაქო ან სამსახურებრივ-საშტატო იარაღით დაჯილდოვება;
- წახალისების სახეების გამოყენება (გარდა „თ“ და „ი“ ქვეპუნქტებით გათვალისწინებულისა) დასაშვებია იქნება იმ პირების მიმართ, რომლებიც განსაკუთრებულ დახმარებას გაუწევენ პოლიცია;
- 5) პოლიციის უფლებამოსილი პირის მიერ სავარაუდო ხელმყოფისთვის მიცემული წერილობითი გაფრთხილების ადმინისტრაციული წესით გასაჩივრება არ აჩერებს უძრავ ნივთზე საკუთრების უფლების ხელყოფის აღკვეთის ღონისძიებების განხორციელებას.

ბ) კანონპროექტის ფინანსური დასაბუთება

ბ.ა) კანონპროექტის მიღებასთან დაკავშირებით აუცილებელი ხარჯების დაფინანსების წყარო:

კანონპროექტი არ ახდენს გავლენას ბიუჯეტის ხარჯვით ნაწილზე.

ბ.ბ) კანონპროექტის გავლენა ბიუჯეტის საშემოსავლო ნაწილზე:

კანონპროექტის მიღება არ ახდენს გავლენას სახელმწიფო ბიუჯეტის საშემოსავლო ნაწილზე.

ბ.გ) კანონპროექტის გავლენა ბიუჯეტის ხარჯვით ნაწილზე:

კანონპროექტის მიღება არ ახდენს გავლენას სახელმწიფო ბიუჯეტის ხარჯვით ნაწილზე.

ბ.დ) სახელმწიფოს ახალი ფინანსური ვალდებულებები:

კანონპროექტის თანახმად სახელმწიფოს ახალი ფინანსური ვალდებულებები არ ეკისრება.

ბ.ე) კანონპროექტის მოსალოდნელი ფინანსური შედეგები იმ პირთათვის, რომელთა მიმართაც ვრცელდება კანონპროექტის მოქმედება:

კანონპროექტის მიღება არ მოახდენს ფინანსურ გავლენას იმ პირებზე, რომლებზედაც ვრცელდება ეს კანონპროექტი.

ბ.ვ) კანონპროექტით დადგენილი გადასახადის, მოსაკრებლის ან სხვა სახის გადასახდელის ოდენობის განსაზღვრის წესი (პრინციპი);

კანონპროექტი არ ადგენს რაიმე ახალ გადასახადს, მოსაკრებელს ან სხვა სახის გადასახდელს.

გ) კანონპროექტის მიმართება საერთაშორისო სამართლებრივ სტანდარტებთან:

გ.ა) კანონპროექტის მიმართება ევროკავშირის დირექტივებთან;

კანონპროექტის მიღება არ ეწინააღმდეგება ევროკავშირის დირექტივებს;

გ.ბ) კანონპროექტის მიმართება საერთაშორისო ორგანიზაციებში საქართველოს წევრობასთან დაკავშირებულ ვალდებულებებთან კანონპროექტის მიღებით არ წარმოიქმნება საერთაშორისო ორგანიზაციებში საქართველოს წევრობასთან დაკავშირებული ვალდებულებები.

გ.გ) კანონპროექტის მიმართება საქართველოს ორმხრივ და მრავალმხრივ ხელშეკრულებებთან კანონპროექტის მიღება არ ეწინააღმდეგება საქართველოს ორმხრივ და მრავალმხრივ ხელშეკრულებებს.

დ) კანონპროექტის მომზადების პროცესში მიღებული კონსულტაციები
და) სახელმწიფო, არასახელმწიფო ან/და საერთაშორისო ორგანიზაცია/დაწესებულება, ექსპერტები, რომლებმაც მონაწილეობა მიიღეს კანონპროექტის შემუშავებაში, ასეთის არსებობის შემთხვევაში კანონპროექტის შემუშავებასთან დაკავშირებით გამართულ სამუშაო შეხვედრებზე მონაწილეობა არ მიუღიათ არასახელმწიფო, საერთაშორისო ორგანიზაცია/დაწესებულებებს, ექსპერტებს.

დ.ბ) კანონპროექტის შემუშავებაში მონაწილე ორგანიზაციის (დაწესებულების) ან/და ექსპერტის შეფასება კანონპროექტის მიმართ, ასეთის არსებობის შემთხვევაში კანონპროექტს არ ახლავს ექსპერტების შეფასება.

დ.გ) კანონპროექტის ავტორი
კანონპროექტის ავტორია საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტრო

დ.დ) კანონპროექტის ინიციატორი

კანონპროექტის ინიციატორია საქართველოს პრეზიდენტი